

ძალაშია 2000 წლის 26 ივნისიდან

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და რუმინეთს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვების შესახებ

საქართველოს მთავრობა და რუმინეთის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვერელ მხარეებად“ წოდებულნი,

აცნობიერებენ რა, რომ მათ ქვეყნებს შორის კომერციულ ურთიერთობისას გვირთის გადაზიდვას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა,

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ ეკოლოგიური შედეგების ნორმალიზაციის, საშუალო და დიდ მანძილზე გვირთის გრანსპორტირებისას ეკონომიკური ეფექტიანობის, ენერგორესურსების დაზოგვისა და უსაფრთხოების, საგზაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესაძლებლობათა შეზღუდულობიდან გამომდინარე, უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე საექსპედიტორო სისტემა, რათა შეიქმნას საგზაო გრანსპორტირების ალტერნატივა, რომელიც მისაღები იქნება როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით

და დარწმუნებულნი არიან რა, რომ გვირთის კომბინირებული გრანსპორტირება იძლევა ფართო არჩევანს საერთაშორისო საგვირთო გადაზიდვების პრობლემების გადასაჭრელად

საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვებთან დაკავშირებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 გამოყენების სფერო

ამ შეთანხმების დებულებები გამოყენებული უნდა იქნას კომბინირებული გადაზიდვებისას:

1. სატრანსპორტო ერთეულზე, რომელიც გამოიყენება ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე არსებულ საგზაო, სარკინიგზო (შიდა სანაოსნო) საზღვაო გზების და სატრანსპორტო გზების იმ სექტორზე, რომლითაც სარგებლობენ ხელშემკვერელ მხარეთა ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები.

2. სატრანსპორტო ერთეულზე, რომელიც გადაადგილდება, გაივლის ტრანზიტით ან მიემართება ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე არსებული დანიშნულების ადგილისაკენ.

მუხლი 2 განსაზღვრებები

ამ შეთანხმებისათვის:

ა. ტერმინი „ტვირთის ინტერმოდალური გადაზიდვა“ ნიშნავს გადაზიდვას ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების თანმიმდევრული გამოყენებით, როდესაც ტრანსპორტირების სახეობის შეცვლისას ტვირთი უკლებლივ რჩება თავდაპირველ სატვირთო ერთეულში (ავტომობილი, ვაგონი და სხვა).

ბ. ტერმინი „ტვირთის საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვა“ – ისეთი ინტერმოდალური გადაზიდვას, რომლის დროსაც გადაზიდვის მანძილის ძირითადი ნაწილი მოდის სარკინიგზო ან საზღვაო ტრანსპორტზე, ხოლო საგზაო გადაზიდვისათვის კუთვნილი მანძილი მაქსიმალურად მცირეა.

გ. ტერმინი „საგზაო სატრანსპორტო საშუალება“ – საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მოძრაობაში მოდის მექანიკურად, გამოიყენება საავტომობილო გზებზე ტვირთის გადასაზიდად და რეგისტრირებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე. ასევე საგზაო სატრანსპორტო საშუალებად ითვლება სატვირთო ავტომობილის ან საწვერის და მისაბმელის ან ნახევარმისაბმელისაგან შემდგარი კომბინაცია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სატვირთო ავტომობილი ან საწვეარი რეგისტრირებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

დ. ტერმინი „სატრანსპორტო ერთეული“ გულისხმობს სატრანსპორტო აღჭურვილობას, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მისაბმელს ან ნახევარმისაბმელს ტრაქტორის გარეშე, აგრეთვე სხვა ინტერმოდალურ სატრანსპორტო ერთეულებს.

ე. ტერმინი „ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეული“ გულისხმობს ნებისმიერ კონტეინერს, ვაგონს და მცლეულ ძარებს, რომლებიც ხელსაყრელია ინტერმოდალური გადაზიდვისათვის.

ვ. ტერმინი „ტრანსპორტირება ინტერმოდალური ტერმინალიდან/მდე“ ნიშნავს გადაზიდვის საგზაო სატრანსპორტო მონაკვეთს, რომელიც სრულდება საზღვრის გადაკვეთის წერტილიდან ან დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილიდან ინტერმოდალურ ტერმინალამდე ან ინტერმოდალური ტერმინალი და საზღვრის გადაკვეთის წერტილამდე ან დატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილამდე.

ზ. ტერმინი „ინტერმოდალური ტერმინალი“ ნიშნავს ადგილს რკინიგზაზე, შიდა სანაოსნო/საზღვაო პორტებში, სადაც ხდება ტრანსპორტის სახეობის შეცვლა.

თ. ტერმინი „ტრანსპორტირება თანმხლები პირით“ ნიშნავს ავტოსატრანსპორტო საშუალების გადატანას არასაგზაო სატრანსპორტო საშუალებებით და მძღოლის თანხლებით.

ი. ტერმინი „ტრანსპორტირება თანმხლების გარეშე“ ნიშნავს იმას, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაზიდვა იყენებს საავტომობილოსაგან განსხვავებულ სატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც თან არ ახლავს მძღოლი.

კ. ტერმინი „ბონუსის კვოტა“ ნიშნავს იმ საგზაო ნებართვების რიცხვს, რომლებიც გათავისუფლებულია საგზაო გადასახადების/გარიყებისაგან კომბინირებული ტრანსპორტირებისათვის.

ლ. გერმინი „ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია“ გულისხმობს, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიასა და რუმინეთის ტერიტორიას.

მ. გერმინი „ერთობლივი კომისია“ გულისხმობს საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვების ერთობლივ კომისიას, რომელიც შექმნილია ამ შეთანხმების მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3

გრანსპორტირება თანხლების გარეშე

1. საგრანსპორტო ერთეულების გადაზიდვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე ინტერმოდალური ტერმინალიდან/ტერმინალამდე ხდება მხოლოდ ისეთი ავტოსაგრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

2. ის ინტერმოდალური ტერმინალები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამგვარი გრანსპორტირების დროს, შეთანხმებულ იქნება ერთობლივ კომისიაზე.

მუხლი 4

გრანსპორტირება თანხლებით

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსაგრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებულ საზღვრის გადაკვეთის/ ან დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტსა და ამ ტერიტორიაზე არსებულ ინტერმოდალურ ტერმინალებს შორის ხორციელდება მანძილზე ნებართვის გარეშე, რაც შეთანხმებული უნდა იქნას ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

2. თუ ადგილი აქვს ზემოხსენებული მანძილის გადაჭარბებას, ამგვარი გრანსპორტირება განხორციელდება სპეციალური ნებართვის საფუძველზე. სპეციალური ნებართვა გაიცემა ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ. მასზე აღნიშნული იქნება TC. ნებართვა შეიძლება ითვალისწინებდეს ან არ ითვალისწინებდეს საგზაო გარიყების/გადასახადების გადახდას და მოქმედებს მხოლოდ ასეთი გრანსპორტირების შემთხვევაში.

3. ამ შეთანხმების მე-2 მუხლში აღნიშნული და თანხლები გრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ნებართვების კვოტა (ტიპი და ნომერი) შეთანხმებული იქნება ერთობლივ კომისიაზე ნაცვალგების საფუძველზე.

4. ერთობლივ კომისიაზე შეთანხმებული ნებართვების კვოტა შემცირდება კვარტალურად. მისი რეგულირება შეიძლება იყოს მისაღები ხელშემკვრელი მხარეების საგრანსპორტო საჭიროებებიდან გამომდინარე.

5. რაც შეეხება რკინიგზით თანხლები გრანსპორტირების შემთხვევას (რო-ლა), ასეთ შემთხვევაში მაგარებელი ჩაითვლება საერთაშორისო პრაქტიკით მიღებულ სამგზავრო მაგარებლად, რომლის გაჩერებები სასაზღვრო გადასასვლელებზე არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

6. მატარებელზე დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაილუქება დატვირთვის სადგურის კომპეტენტური ორგანოს მიერ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების თანმხლები მძღოლები იმგზავრებენ მატარებლის სამგზავრო ნაწილის ვაგონით.

მუხლი 5 სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთის საერთაშორისო ტრანსპორტირებისას გამოიყენება კომბინირებული გადაზიდვა, მოძრავ შემადგენლობაზე ან ბორანზე დატვირთულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, მოქმედი საერთაშორისო წესების შესაბამისად, სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა ჰქონდეს კომბინირებული ტრანსპორტირების ნებართვა, გარდა მე -3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ნებართვა უნდა წარედგინოს კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნისამებრ. ამ დოკუმენტის არქონის შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალება ჩაითვლება უნებართვოდ.

ნებართვაში რაიმე ცვლილების ან თვითნებური შესწორების შემთხვევაში ნებართვა გაუქმდება და ჩამოირთმევა.

2. ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლა მოხდება შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან გასვლისას კომბინირებული ტრანსპორტის გამოყენება აღინიშნება კომბინირებული ტრანსპორტისათვის გაცემული კომერციული დოკუმენტით CIM-UIRR ტვირთბარათით, ან სხვა ხელშემკვრელი მხარეების მიერ შეთანხმებული დოკუმენტებით ცალ-ცალკე ტრანსპორტის ყველა იმ სახეობისათვის, რომელთა გამოყენებაც ხდება.

3. ბონუსის კვოტების გაცემა და მართვა ხდება ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 6 კომბინირებული გადაზიდვების ხელშეწყობა

1. ხელშემკვრელი მხარეები, ითვალისწინებენ რა კომბინირებული გადაზიდვების უპირატესობებს, იღებენ აუცილებელ ზომებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ შეთანხმებების მიღწევას თავიანთ სარკინიგზო ადმინისტრაციას, კომბინირებული ტრანსპორტის საზოგადოებებსა და გადაზიდვების შორის იმ ზომების მიღების შესახებ, რომლებიც საჭიროა კომბინირებული გადაზიდვების ხელშეწყობისათვის.

2. ხელშემკვრელი მხარეები სთავაზობენ სრულ მხარდაჭერას საზოგადოებრივ მოხმარებაში მყოფ თავიანთ სარკინიგზო კომპანიებს და ნავსადგურებს, რომლებიც აწარმოებენ კომბინირებულ გადაზიდვებს იმ მიზნით, რათა ხელი შეუწყონ კომბინირებული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას (ინტერმოდალური

გერმინალები, ნავსადგურები, სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურა).

3. ხელშემკვრელი მხარეები მიიღებენ საჭირო ზომებს, რათა გვირთის ორმხრივი გადაზიდვები ინტერმოდალური გერმინალებიდან/მდე არ ექვემდებარებოდეს გრანსპორტირების იმ აკრძალვებს, რომლებიც მოქმედებს შაბათ-კვირასა და ეროვნულ დღესასწაულებზე.

4. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კომბინირებული გრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა; ხელშემკვრელი მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ საბაჟო პროცედურები გადაგანილ იქნას საზღვრის გადაკვეთის ადგილიდან ინტერმოდალურ გერმინალებზე (რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები).

5. ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები იმ მარშრუტების განვითარებისათვის, რომლებიც გამოყენებული იქნება ინტერმოდალური კომბინირებული გრანსპორტირებისათვის.

მუხლი 7

კომპეტენციური ორგანოები

კომპეტენციური ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებსაც ეკისრებათ ამ შეთანხმების განხორციელება, წარმოადგენენ გრანსპორტის სფეროში მომუშავე ორგანოებს, კერძოდ:

- საქართველოს მხარისათვის: გრანსპორტის სამინისტრო;
- რუმინეთის მხარისათვის: გრანსპორტის სამინისტრო.

ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს შესაბამისი კომპეტენციური ორგანოების დასახელებებში ცვლილებების შესახებ.

მუხლი 8

საბაჟო დებულებები, საგადასახადო გარიჟები და გადასახდელები

1. ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტი, ან კომბინირებული გადაზიდვებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო ერთეული დროებით მიიღება მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე საიმპორტო გადასახადით დაბეგვრის გარეშე, იმ პირობით, რომ ის რე-ექსპორტირებული იქნება.

იგივე პირობები ვრცელდება სათადარიგო ნაწილებზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების აქსესუარებზე და სატრანსპორტო ოპერაციების შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობაზე. რომელიც იმპორტირებულია და რე-ექსპორტირებულია ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან ერთად.

2. ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვებს ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციებისათვის ნაცვალგების საფუძველზე თავისუფლდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუშაობისა და ფლობის

გადასახადებიდან, აგრეთვე ყველა სპეციალური გადასახადებიდან, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად.

3. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა გადასახადი გადახდილი უნდა იყოს კონვერტირებადი ვალუტით. ხელშემკვრელ მხარეებს შორის ანგარიშსწორების შესახებ შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ძალაში იქნება ამ უკანასკნელის დებულებები.

4. საერთაშორისო მოძრაობაში საგრანსპორტო საშუალებების მოქმედებიდან, ისევე როგორც მოძრავი ტვირთების ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება იმ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საგრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დადებენ კონვენციას ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ, გამოიყენება ამ უკანასკნელის დებულებები.

მუხლი 9 თანამშრომლობა

1. ხელშემკვრელი მხარეები მოუწოდებენ რკინიგზის ადმინისტრაციებს შეიმუშაონ კომბინირებულ გადაზიდვებში დაკავებულ საგზაო ტრანსპორტის ორგანიზაციებსა და გადაზიდვებთან ერთად კონკურენტუნარიანი წინადადებები კომბინირებულ გადაზიდვებთან დაკავშირებით, ტრანსპორტირების ხარისხზე, გადაზიდვისა და მიწოდების დროის შემცირებაზე, ეკონომიკურად გამართლებულ სატარიფო სისტემაზე და ტვირთის თანმხლებ კომბინირებულ ტრანსპორტირებაზე ყურადღების გამახვილებით.

2. ხელშემკვრელი მხარეები შეეცდებიან გამონახონ ქმედით გზები იმისათვის, რომ საერთაშორისო გადაზიდვებში გაიზარდოს კომბინირებული გადაზიდვების წილი.

3. ხელშემკვრელმა მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ იმ ღონისძიებებისა და წესების შესახებ, რომლებიც მიმართულია ტვირთის საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

4. ხელშემკვრელი მხარეები რეკომენდაციას გაუწევენ თავიანთ სარკინიგზო ადმინისტრაციებსა და გადაზიდვებს გააფორმონ ორმხრივი ხელშეკრულებები მათი კუთვნილი კონტეინერებით ერთობლივი სარგებლობის შესახებ.

5. ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა ურჩიონ თავიანთ სარკინიგზო ადმინისტრაციებსა და გადაზიდვებს ითანამშრომლონ თანმხლები კომბინირებული ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების დაწესების საკითხებში (RO-RO, RO-LA).

მუხლი 10 დებულებების დარღვევა – სანქციები

1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერსონალი არ დაიცავს მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობას, ამ შეთანხმების დებულებებს ან ნებართვაში აღნიშნულ პირობებს, მაშინ იმ ქვეყნის კომპეტენტურ

ხელისუფლებას, სადაც ეს ავგოსაგრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული, უფლება აქვს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად მიიღოს შემდეგი ზომები:

ა. მისცეს გაფრთხილება წესების დამრღვევ ექსპედიტორს;

ბ. შეაჩეროს ნებართვების გაცემა კონკრეტულ ექსპედიტორზე ან ჩამოართვას მას ნებართვა იმ პერიოდით, როდესაც ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანომ აუკრძალა მას გრანსპორტირება თავის ტერიტორიაზე.

2. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ, რომელმაც მიმართა ასეთ ზომებს, უნდა აცნობოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ხელისუფლებას მიღებული გადაწყვეტილებებისა და ზომების შესახებ.

3. ამ მუხლის დებულებები არ გამოიცხადვს კანონით გათვალისწინებულ სანქციებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ქვეყნის სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, სადაც აღგილი ჰქონდა დარღვევას, მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11

კონფიდენციალურობა

1. ხელშემკვრელი მხარეები თანახმა არიან დაიცვან მესამე პირისაგან მიღებული ნებისმიერი მონაცემები და ინფორმაცია გარდა ოფიციალური (გამოქვეყნებული) მონაცემების, სტატისტიკისა და ინფორმაციისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები და ინფორმაცია გადაეცემა მეორე ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლების ორგანოებს, სასამართლოებსა და პროკურატურას, თუ ამას მოითხოვს გამოძიება.

სხვა დანარჩენი მონაცემების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებლის ნებართვით.

მუხლი 12

კრიტიკული სიგუაცეები

ხელშემკვრელი მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მიიღებენ სასწრაფო ზომებს იმ შემთხვევაში, თუ კომბინირებული გადაზიდვის შეჩერება ფორს მაჟორის ან ტექნიკური დაზიანების გამო გადააჭარბებს 12 საათს.

მუხლი 13

ერთობლივი კომისია და ინფორმაციის გაცემა

1. ამ შეთანხმების ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების შემოწმებისა და გადაწყვეტის მიზნით უნდა შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელშიც შევლენ ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლები.

2. ერთობლივი კომისია შეიკრიბება მონაცვლეობით თითოეული ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე ან ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად.

3. ხელშემკვერელი მხარეები შეხვდებიან ერთობლივი კომისიის სხდომაზე ინფორმაციის გაცვლისა და ამ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების გადასაწყვეტად.

4. შესაძლებელია, რომ ხელშემკვერელი მხარეები შეთანხმდნენ ამ შეთანხმების მოდიფიკაციაზე, თუკი ეს გამოწვეული იქნება საერთაშორისო კომბინირებული გადაზიდვების შემდგომი განვითარებით.

მუხლი 14 ძალაში შესვლა

ეს შეთანხმება ძალაში შედის 30 დღის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც მხარეები მიიღებენ უკანასკნელ შეწყობინებას ყველა იმ ფორმალობების შესრულების შესახებ, რომლებსაც მოითხოვს მათი ქვეყნის კანონმდებლობები საერთაშორისო ხელშეკრულებების ძალაში შესაყვანად.

ამ შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებები ძალაში შედის იმავე პროცედურის მიხედვით.

მუხლი 15 ხელშეკრულების მოქმედება

ეს შეთანხმება იღება განუსაზღვრული ვადით. მისი მოქმედება შეწყდება ექვსი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე აცნობებს მეორეს თავის განზრახვას შეთანხმების შეწყვეტის შესახებ.

შესრულებულია ბუქარესტში, 1997 წლის 11 დეკემბერს ორ ორიგინალურ პირად, თითოეული ქართულ, რუმინულ და ინგლისურ ენებზე. ყოველი მათგანი არის აუთენტიკური. ტექსტების განმარტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

რუმინეთის მთავრობის
სახელით